

პროგრამა „ლექსიკოგრაფი“ – ლექსიკოგრაფიული სამუშაოების მართვის ინსტრუმენტი

ქეთევან დათუკიშვილი, ნანა ლოლაძე, მერაბ ზაკალაშვილი (თბილისი)

1. შესავალი

უკანასკნელ ათწლეულებში მიმდინარე პროცესებმა – ტექნოლოგიურმა ნახტომმა, ახალმა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო პარადიგმამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ლექსიკოგრაფიაზე. იგი აღმოჩნდა სრულიად ახალი შესაძლებლობების, განსხვავებული „ციფრულ გარემოსა“ და ახალი ამოცანების წინაშე. ეს ვითარება მოითხოვს ტრადიციული ჩარჩოებიდან გასვლას და დარგის მიზნებისა და ამოცანების ახლებურად გადააზრებას. ამდენად, ლექსიკოგრაფია დღეს თვითგამორკვევის პროცესშია, რასაც ს. ტარპმა იდენტობის კრიზისი უწოდა (“identity crisis”) [Tarp, 2009]. შესაბამისად, არ ცხრება პოლემიკა ლექსიკოგრაფიის სტატუსის, მისი ადგილისა და როლის განსაზღვრის ირგვლივ [Tarp, 2012, 2018, Adamska-Sałaciak, 2019/2021].

თანამედროვე ლექსიკოგრაფიის ყურადღების ცენტრშია სამი ურთიერთდაკავშირებული ასპექტი: ინფორმაცია, მასზე წვდომა და მომხმარებელი. ეს კი ლექსიკონების შემდგენლებისაგან მოითხოვს სტრატეგიების გადახედვას ლექსიკოგრაფიული წყაროების დამუშავების, ინფორმაციის შინაარსის განსაზღვრისა და ახალი ტიპის მომხმარებელთან ურთიერთობის თვალსაზრისით [Bergenholtz, Bothma, 2012, Fuertes-Olivera, Tarp, 2011]. ახლებურად დაისვა სიტყვის ლექსიკოგრაფიულ დამუშავებასთან დაკავშირებული მრავალი თეორიული და პრაქტიკული საკითხი. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, სპეციალისტები თანხმდებიან, რომ აქცენტი უნდა გაკეთდეს მოთხოვნებზე, რომლებსაც თანამედროვე მომხმარებელი უყენებს ლექსიკონებს. მომხმარებელს ესაჭიროება ლექსიკონის მეშვეობით ტექსტი გაიგოს, შექმნას ან გადათარგმნოს, ანდა შეიძინოს ცოდნა. ეს განსაზღვრავს ლექსიკონების ფუნქციებსა და დანიშნულებას. ასევე კამათს არ იწვევს ის გარემოება, რომ ამ ამოცანების ეფექტურად გადაჭრა შეუძლებელია კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე.

ამ მიმართულებით მუშაობამ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში პირველი შედეგი გამოიღო, გაჩნდა ტრადიციული ბეჭდური ლექსიკონების ციფრული ვერსიები და ელექტრონული ლექსიკონები, რამაც დასაბამი მისცა ახალ მიმართულებას – კომპიუტერულ ლექსიკოგრაფიას.

დღეს ეს სამუშაოები ახალ საფეხურზე ასული. ლექსიკოგრაფიული მუშაობა ორი მიმართულებით ვითარდება, ესაა ენობრივ კორპუსებზე დაფუძნებული ლექსიკონების შედგენა და ლექსიკურ მონაცემთა ბაზების შექმნა. ამ სამუშაოების უზრუნველყოფისათვის შექმნილია და იქმნება სხვადასხვა დანიშნულების არაერთი პროგრამული ინსტრუმენტი. ამ ტიპის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს საქართველოშიც.

2. პროგრამა „ლექსიკოგრაფის“ აღწერა

ერთ-ერთ ამგვარ ინსტრუმენტს წარმოადგენს პროგრამა „ლექსიკოგრაფი“, რომელიც შეიქმნა „ლინგვისტური ტექნოლოგიების ჯგუფში“. „ლექსიკოგრაფი“ უზრუნველყოფს ლექსიკოგრაფიული სამუშაოების წარმართვას ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. მისი საშუალებით შესაძლებელია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ლექსიკონების მომზადება და გამოცემა. ამ პროგრამის საშუალებით შექმნილია ქართული ენის სასწავლო განმარტებითი ლექსიკონი – „ქართული ლექსიკონი“, რომელიც გამოიცა ორი განსხვავებული ფორმატით:

- ბეჭდური – „ქართული ლექსიკონი“, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2014;
- ელექტრონული – <https://www.ganmarteba.ge/> 2019.

აღსანიშნავია, რომ ორივე ლექსიკონი მომზადდა უშუალოდ პროგრამული ინსტრუმენტით, ისე, რომ მას საფუძვლად არ დასდებია რომელიმე ბეჭდური ან ელექტრონული გამოცემა. ეს არის ამგვარი ინსტრუმენტით ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შექმნის პირველი ცდა.

პროგრამა „ლექსიკოგრაფით“ შესაძლებელია სალექსიკონო მასალის განთავსება მონაცემთა ბაზის სახით, რაც საშუალებას იძლევა ეფექტურად წარიმართოს მასალის დამუშავებისა და ტექსტის რედაქტირების პროცესები. გარდა ამისა, პროგრამით შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ლექსიკონის მომზადება ნებისმიერი ფორმატით.

პროგრამა შედგება ორი ნაწილისაგან: მონაცემთა ბაზის რედაქტორისა და ფორმატის რედაქტორისაგან. მას აქვს აგრეთვე სპეციალური ფუნქცია სამუშაოს ადმინისტრირებისათვის.


2.1 მონაცემთა ბაზის რედაქტორი

მონაცემთა ბაზა ეფუძნება სალექსიკონო სტატიის კონცეპტუალურ მოდელს: განისაზღვრა სტატიის სტრუქტურული ერთეულები (კომპონენტები) და მათი ურთიერთმიმართება. კერძოდ, გამოიყო შემდეგი კომპონენტები: განმარტება, ილუსტრაცია, მეტყველების ნაწილი, ფუნქციონირების სფერო, დარგი და სხვ.

სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში ეს კომპონენტები წარმოდგენილია გარკვეული მიმდევრობით. მონაცემთა ბაზაში შეყვანილ სტრუქტურირებულ ინფორმაციას პროგრამა გარდაქმნის ავტომატურად და ვიღებთ სიტყვა-სტატიას. იმისათვის, რომ პროგრამამ შეძლოს ამ ოპერაციის შესრულება, აღნიშნული კომპონენტები ერთიანდება გარკვეულ სექციებში, რომლებიც ქმნის მონაცემთა ბაზის კიდევ ერთ სტრუქტურულ ერთეულს. სექციას ვუწოდებთ კომპონენტების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს სიტყვა-სტატიაში განთავსებული ინფორმაციის (კონტენტის) დალაგებას განსაზღვრული მიმდევრობით. გამოიყო შემდეგი სახის სექციები: 1) დასაწყისი, 2) ძირითადი, 3) ფრაზები და 4) ბმულები. თითოეულ სექციას აქვს თავისი კომპონენტები; ზოგი კომპონენტი მეორდება სხვადასხვა სექციაში, მაგალითად, მეტყველების ნაწილი უმეტესად მოცემულია დასაწყისში, მაგრამ ის შეიძლება იყოს ძირითად სექციაშიც, განმარტება მოცემულია ძირითადშიც და ფრაზებშიც და ა. შ. თითოეული კომპონენტი განთავსებულია მონაცემთა ბაზის ცალკე ველში.

სექციაში **დასაწყისი** მოცემულია შემდეგი კომპონენტები: მეტყველების ნაწილი, გრამატიკული ფორმა (სახელებისათვის – მხოლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, ზმნებისთვის – სხვადასხვა გვარისა და ქცევის ფორმები მხოლობითი რიცხვის მესამე პირში), ფუნქციონირების სფერო და ა. შ.; სექციაში **ძირითადი** წარმოდგენილია შემდეგი კომპონენტები: განმარტება; ილუსტრაცია; ფუნქციონირების სფერო, დარგი და ა.შ.; სექციაში **ფრაზები** გვაქვს კომპონენტები: განმარტება, ფუნქციონირების სფერო და ა.შ.; სექციაში **ბმულები** მიეთითება, რომელ სტატიაზე უნდა გაიგზავნოს ესა თუ ის ინფორმაცია. ბმულების საშუალებით ხდება გადასვლა ერთი ფუმიდან წარმოებულ სხვადასხვა სიტყვაზე, სინონიმებზე, ანტონიმებზე და სხვ. გვაქვს სავალდებულო და არჩევითი (ფაკულტატიური) სექციები და კომპონენტები. მაგალითად, სექცია **ძირითადი** სავალდებულოა, **ფრაზები** კი – არჩევითი; მეტყველების ნაწილის კომპონენტი სავალდებულოა, ფუნქციონირების სფეროსი – არჩევითი და ა. შ.

სიტყვა-სტატიის სტრუქტურა შეიძლება წარმოვადგინოთ სქემის სახით:



ლექსიკონზე მუშაობის პროცესში სექციას შეიძლება დაემატოს კომპონენტები, რაც აისახება პროგრამულ ინსტრუმენტში შესაბამისი ველების სახით.

მონაცემთა ბაზაში მასალის შესაყვანად პროგრამას აქვს მოხერხებული სამუშაო ინტერფეისი, რომელიც ლექსიკოგრაფს აძლევს საშუალებას შეიყვანოს სიტყვა-სტატიის მონაცემები შესაბამისი ველების მიხედვით.

მონაცემთა ბაზის დამუშავება ბაზის რედაქტორის საშუალებით ხდება შემდეგნაირად: სიტყვის ასაკრეფ ფანჯარაში შესაძლებელია სიტყვის ან მისი დასაწყისი ასოების აკრეფა და გამოჩნდება ანბანური რიგზე დალაგებული მეთაური სიტყვები.

სტატია	ომონ	აქტი
▶ ბროკერი	0	<input checked="" type="checkbox"/>
ბროლი	0	<input checked="" type="checkbox"/>
ბრომი	0	<input checked="" type="checkbox"/>
ბრომიანი	0	<input type="checkbox"/>
ბროხეი	0	<input checked="" type="checkbox"/>
ბროხეილური	0	<input checked="" type="checkbox"/>
ბროხეიტი	0	<input checked="" type="checkbox"/>
ბროში	0	<input checked="" type="checkbox"/>
ბროშურა	0	<input checked="" type="checkbox"/>

მეთაური სიტყვის არჩევის შემთხვევაში გამოდის მისი შემადგენელი სექციები. მაგალითად, სიტყვა „ანკესის“ შესახებ ინფორმაცია „ლექსიკოგრაფში“ მოცემულია ამგვარად:

სტატია	ომონ	აქტი
▶ ანკესი	0	<input checked="" type="checkbox"/>
*	0	<input checked="" type="checkbox"/>

ტიპი	პოლ	აქტიური
▶ დასაწყისი	0	<input checked="" type="checkbox"/>
ძირითადი	1	<input checked="" type="checkbox"/>
ძირითადი	2	<input checked="" type="checkbox"/>
ფრაზები	0	<input checked="" type="checkbox"/>
*	0	<input checked="" type="checkbox"/>

თითოეული სექციის არჩევის შემთხვევაში გამოდის მისი კომპონენტები, რომლებიც წერია შესაბამის ველებში.

დასაწყისი

მეტყველების ნაწილი	არსებითი სახელი
ნათესაობითი	ანკესის

პირველი პოლისემიური მნიშვნელობა

განმარტება	თევზის საჭერი წვრილი კაუჭი
ილუსტრაცია	ანკესზე ჭიაცელა დაამაგრა

მეორე პოლისემიური მნიშვნელობა

განმარტება	თევზსაჭერი მოწყობილობა, შედგება ხის გრძელი ჯოხის, ლარი
+განმარტებიდან ქვესტატის (პ. ბმული)	ანკესი+ 1+ თევზის საჭერი წვრილი კაუ
ტექსტი განმ. ლინკისთვის	ანკესისგან
ილუსტრაცია	ანკესით თევზაობა
სემანტიკური ველი	ტექნოა

ფრაზეოლოგიური გამოთქმები

განმარტება	მოატყუებს, შეაცდენს
ფრაზა	ანკესზე წამოაგებს

ზოგიერთ ველში შესაყვანი ინფორმაცია არის ზღვრული, შესაძლებელია წინასწარ განისაზღვროს ყველა ის ერთეული, რომლებიდანაც უნდა აირჩეს კონკრეტული სიტყვა-სტატიის შესაბამისი ვარიანტი. ამგვარი ველებისათვის წინასწარ მზადდება ასარჩევი ვარიანტების ჩამონათვალი. ლექსიკოგრაფს არ უხდება საჭირო ინფორმაციის აკრეფა, არამედ მას შეიყვანს შესაბამისი სიიდან. მაგალითად, მეტყველების ნაწილის ველში არის ჩამონათვალი: არსებითი სახელი, ზმნა, ზმნიზედა, შორისდებული და ა. შ. ფუნქციონირების სფეროს ველს აქვს შემდეგი ჩამონათვალი: ალერსობითი, დამცირებითი, ვულგარული, ირონიული და ა. შ.

მონაცემთა ბაზაში შეიძლება იყოს იმგვარი ინფორმაცია, რომელიც გამოცემულ ლექსიკონში არ აისახება, მაგრამ საჭიროა მასალაზე მუშაობისას. მაგალითად, „ლექსიკოგრაფის“ მონაცემთა ბაზაში არის კომპონენტი „სემანტიკური ველი“. ეს ინფორმაცია საბოლოო ტექსტში არ არის წარმოდგენილი, მაგრამ სალექსიკონო სტატიებზე მუშაობისას მონაცემები სწორედ სემანტიკური ველების მიხედვით მზადდებოდა და რედაქტირდებოდა. შესაძლოა აგრეთვე გარკვეული მონაცემების შენახვა ბაზაში სარედაქციოდ. ის სტატიები, რომლებიც უკვე დამუშავებულია და მომზადებულია გამოსაცემად, აქტიურდება შესაბამისი სიმბოლოს (✓) ჩართვით. ხოლო ის

სტატიები ან სექციები, რომელთა გამოქვეყნება ამ კონკრეტული გამოცემისათვის არ ივარაუდება, არ აქტიურდება.

სალექსიკონო მასალის ამგვარად მომზადება იძლევა ინფორმაციის ავტომატურად მოძიებისა და მართვის საშუალებას, რაც აადვილებს განმარტებების შექმნის პროცესს. შესაძლებელია სალექსიკონო სტატიების კლასიფიკაცია ყველა იმ პარამეტრის მიხედვით, რომლებიც ენიჭება ამა თუ იმ სექციასა თუ კომპონენტს. მაგალითად, მასალა შეიძლება გაიფილტროს მეტყველების ნაწილების, ფუნქციონირების სფეროს და სხვ. მიხედვით. შეიძლება მოვიძიოთ ყველა სტატია, რომლებსაც აქვთ გადატანითი მნიშვნელობა ან სტატიები, რომლებსაც ახლავს ფრაზეოლოგიური გამოთქმები და ა. შ. ამგვარად, ლექსიკოგრაფს აქვს სასურველი მასალის მოძიებისა და რედაქტირების საშუალება. ეს ხელს უწყობს მსგავსი ინფორმაციის ერთგვაროვნების დაცვას დიდი მოცულობის სალექსიკონო ტექსტებში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამგვარი მონაცემთა ბაზები არის კარგი საშუალება სამეცნიერო კვლევებისათვის; შესაძლებელია მონაცემთა კლასიფიკაცია სხვადასხვა გრამატიკული თუ სემანტიკური ნიშნის მიხედვით და, რაც მთავარია, პროგრამა იძლევა ამ მონაცემთა სტატისტიკური კვლევის საშუალებას.

2.2. ფორმატის რედაქტორი

ფორმატის რედაქტორი უზრუნველყოფს ლექსიკონის ფორმატის შექმნას. შესაძლებელია შემდეგი ოპერაციების შესრულება:


- სექციების დალაგება ნებისმიერი თანამიმდევრობით;
- კომპონენტების დალაგება ნებისმიერი თანამიმდევრობით;
- თითოეულ ველში განთავსებული ინფორმაციისათვის სხვადასხვა სტილის მინიჭება (შრიფტის ზომა, ფერი...);
- თითოეულ ველში განთავსებული ინფორმაციის წინ სპეციალური სიმბოლური ნიშნების ჩასმა და ა. შ.

ლექსიკონისათვის გარკვეული ფორმატის შექმნის შემდეგ შესაძლებელია მონაცემთა ბაზაში არსებული მთელი მასალის ავტომატურად წარმოდგენა ამ ფორმატის შესაბამისად. ფორმატირების რედაქტორით შევქმენით „ქართული ლექსიკონის“ ორი განსხვავებული ფორმატი: ერთი – ბეჭდური და მეორე – ელექტრონული გამოცემისთვის.

მაგალითისთვის წარმოვადგენთ სიტყვა-სტატიას „ანკესი“. ბეჭდურ ლექსიკონში იგი მოცემულია ამგვარად:

ანკესი ანკესის 1. თევზის საჭერი წვრილი კაუჭი. ანკესზე ჭიკაყელა დაამავრა. 2. თევზსაჭერი მოწყობილობა, შედგება ხის გრძელი ჯოხის, ლარისა და ანკესისგან (1). ანკესით თევზაობა. © ანკესზე წამოაგებს მოატყუებს, შეაცდენს.

ელექტრონულ ლექსიკონში ეს სიტყვა-სტატია სხვაგვარი დიზაინით არის წარმოდგენილი:



2.3. სამუშაოს ადმინისტრირება

პროგრამა „ლექსიკოგრაფი“ იძლევა სამუშაოს ადმინისტრირების კარგ საშუალებას. იგი განთავსებულია ინტერნეტში და ლექსიკოგრაფებს შესაძლებლობა აქვთ იმუშაონ ნებისმიერი ადგილიდან. ამასთან, უფლებები განსხვავებულია: ზოგ ექსპერტს აქვს მხოლოდ ბაზის გარკვეული მონაკვეთის რედაქტირების უფლება, ზოგს – მხოლოდ მასალის ნახვისა, ზოგს კი – მთელ ბაზასთან მუშაობისა. ამგვარად განაწილებული უფლებებით შესაძლებელია სამუშაო პროცესის ეფექტურად მართვა.

3. სამომავლო გეგმები

პროგრამა „ლექსიკოგრაფი“ შეიქმნა ერთი კონკრეტული გამოცემის მოსამზადებლად, მაგრამ მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი ტიპის ლექსიკონისთვის.

სამომავლოდ ვგეგმავთ უნივერსალური ინსტრუმენტის შექმნას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ლექსიკონების სტრუქტურული თავისებურებანი. უნივერსალური ინსტრუმენტით შესაძლებლობა იქნება მომზადდეს განმარტებითი, თარგმნითი, ორთოგრაფიული და სხვა ტიპის ლექსიკონების როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული გამოცემები.

ლიტერატურა

- Adamska-Salaciak A., Lexicography and theory: Clearing the ground, International Journal of Lexicography, 2019, Vol. 32, No. 1, 1–19, <https://academic.oup.com/ijl/article/32/1/1/5098422> by guest on 25 October 2021
- Bergenholtz H. Theo J. D Bothma, 2012. Needs-adapted Data Presentation in e-Information Tools., <https://www.researchgate.net/publication/269868931>, pp. 53-77

Fuertes-Olivera P. A. Tarp S., 2011, Lexicography for the third millennium: Cognitive-oriented specialized dictionaries for learners, *Ibérica* 21 (2011) [Electronic resource: pp.141-162]

Tarp S., 2009, Beyond Lexicography: Neo Vision and Challenges in the Information Age// H. Bergenholtz, S. Nielsen & S. Tarp (Eds.) *Lexicography at a Crossroads: Dictionaries and Encyclopedias Today, Lexicographical Tools Tomorrow*. Bern: Peter Lang, 2009, Pp. 17-32

Tarp, S. 2008. *Lexicography in the Borderland between Knowledge and Non-Knowledge: General Lexicographical Theory with Particular Focus on Learner's Lexicography*. Tu"bingen: Max Niemeyer.

Tarp, S. 2018. 'Lexicography as an Independent Science?' In Fuertes-Olivera, P. (ed.) *The Routledge Handbook of Lexicography*. London and New York: Routledge, pp. 19-33

Tarp, S., 2012, Do We Need a (New) Theory of Lexicography, <https://www.researchgate.net/publication/272775583>

დათუკიშვილი ქ., ლოლაძე ნ., ზაკალაშვილი მ., ლექსიკოგრაფიული სამუშაოების ორგანიზება და მართვა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (პროგრამა „ლექსიკოგრაფი“), ბათუმის I საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, ბათუმი, 2010

დათუკიშვილი ქ., ლოლაძე ნ., ზაკალაშვილი მ., ქართული ენის ელექტრონული ლექსიკონის შედგენის პრინციპებისათვის, საერთაშორისო კონფერენცია – ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები, თბილისი, 2015

დათუკიშვილი ქ., ლოლაძე ნ., ქართული ენის ელექტრონული განმარტებითი ლექსიკონი, ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები V, თბილისი, 15-17 დეკემბერი, 2019

ლოლაძე ნ., მნიშვნელობის ანალიზი და კომპიუტერული ლექსიკოგრაფია, სამეცნიერო კონფერენცია ბუნებრივ ენათა დამუშავება, თბილისი, 2004

The Program “Lexicographer” – A Tool for the Management of Lexicographic Work

Keteven Datukishvili, Nana Loladze, Merab Zakalashvili (Tbilisi)

The [Linguistic Technologies Group](#) has created a program “Lexicographer” which ensures the implementation of lexicographic activities by means of digital technologies. The program enables the creation of dictionaries and their publication in printed and electronic formats. Based on this program, we have created an explanatory dictionary of the Georgian language, “The Georgian Dictionary“, which is published in two formats:

- **printed:** “The Georgian Dictionary“, Tbilisi: Bakur Sulakauri Publishing House 2014
- **electronic:** <https://www.ganmarteba.ge/> 2019.

The program consists of two parts: a database editor and a format editor. In addition, it has a special function for the administration of activities.

The database relies on a conceptual model embracing the following components of a dictionary unit: definition, illustrative example, part of speech, field of usage, field of science etc. Certain components are united in sections. A section is a unity of components which ensures a certain fixed order of information (content) referring to the dictionary unit. There are three different sections: the beginning section; the main section; phrases and links.

The beginning section embraces the following components: part of speech, grammatical forms (for nouns: singular number, genitive case; for verbs: forms of different voice and version in the third person, singular number), the field of usage and so on. The main section includes the following components: definition, illustrative example, the field of functioning, the scientific field of usage and so on. The section of phrases embraces the following components: definition, the field of usage etc; the section of links points out the lexical unit to which this or that information should be attached. The links enable a transfer from the lexical unit to the words derived from the same stem, synonyms, antonyms and so on.

In the database, the components of the dictionary units are given in separate fields. This structuring of the material enables automatic search and management of information. All this facilitates the process of working with the dictionary. Besides, the database is extremely useful for scientific research, for instance, regarding statistical analyses.

The format editor of the program “Lexicographer” ensures the creation of the format of the dictionary. It enables the following operations: ordering of sections or components; selection of different styles (font size, colour...) for the information provided in different fields, the usage of symbols and so on.

The program “Lexicographer” also facilitates the administration of activities. It is uploaded to the internet. Hence, lexicographers have the opportunity to work with the dictionary from any place. Using a special function, they can implement efficient management of the work process.

The program “Lexicographer” is intended to be used for the creation of a universal tool that will embrace structural peculiarities of dictionaries of various types and functions. This universal tool will enable the compilation of explanatory, translation, orthographic and other types of dictionaries to be published in both printed and electronic forms.